

რაჟდენ გვეტაძის პოეზიის ზოგიერთი ასპექტი

რაჟდენ გვეტაძე ერთ-ერთია იმ 13 პოეტთაგან, ვინც 1915 წელს ლიტერატურული გაერთიანება „ცისფერი ყანწები“ დაარსა, მისი ლექსების პირველი კრებული „მთვარის ზღაპარი“ გამოვიდა 1916 წელს. შემდეგი გამოსცა: „თეთრი წიგნი“, „დაბინდული ქარები“. „ლაშქრები“, „ვირების მესია“. ის ავტორია რომანებისა: „თეო“, „ჭიაკოკონა“, „ლაშაური საღამოები“ და ნოველათა კრებულებისა. მანასევე, თარგმნა ინდური ეპოსი „რამაიანა“, ძველიფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე“ (გრიგოლ აბაშიძესთან და ხარიტონ ვარდოშვილთან ერთად). სომხური ეპოსი „დავით სასუნცი“, დიმიტრი გულიას „კაჭიმაჭი“, რუსი და უკრაინელი პოეტების ლექსები. მიუხედავად იმისა, რომ რაჟდენ გვეტაძის შემოქმედების დიდ ნაწილს პროზა წარმოადგენს, ძალიან მნიშვნელოვანია მისი სიმბოლისტური ლექსების ექსპრესია და სახეები, რომლებიც მას აახლოვებს როგორც ქართველ, ისე უცხოელ პოეტებთან. ავტორის გასაცნობად, ალბათ, ყველაზე სწორი იქნება, თუ მის „ავტობიოგრაფიას“ მოვიხილავთ. ტიცაიანის, პაოლოს, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვა პოეტების მსგავსად, რაჟდენ გვეტაძის „ავტობიოგრაფიის“ წარმოდგენილია პოეტის ძირითადი კრედი, პირველივე ტაქსში ჩანს კატეგორიულობა:

„არავის ვუმღერავ ცეცხლით ჩემს მუხამბაზეს,-
მანჩობენ ცოდვილს ჯოჯოხეთის სავიმწერები“ (გვეტაძე 1924:5)

პოეტი უკომპრომისოა, მას ძალიან დიდი ტკივილი ელის, რაც გამოწვეულია, ნიჭის უგულვებლყოფით: „ჩემმა სიდიდემ უფსკრულების პირას დამაბა“, „მაგრამ ამ ქვეყნად როგორც პოეტს ვინ დამაფასებს?“ ეს პოეტის შინაგანი ტკივილია, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება შემდეგ სტროფებში: „მზურვალე ლოცვით დავიღალე და ძირს ვეშვები“. ეს ადამიანი, როგორც მკითხველი ხვდება, უმიზნო ლოცვით არის დაღლილი, მისი თხოვნა არ სრულდება. გარკვეული მსგავსება შეგვიძლია დავინახოთ პაოლო იაშვილის „ავტობიოგრაფიასთან“ – „საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა“ (იაშვილი 2007:46) სათქმელი მსგავსია, მაგრამ პაოლო იაშვილი თუ მხოლოდ „ბოდლერის ცივი ლანდის ნდობით“ არის ბედნიერი, მისი თანამეკალმის ფიქრები „აბედივით უხმოდ იწვიან“:

„ჩემი ფიქრების ისლიანი ვერა იჟრაჟდენენ,
და სონეტის ქვეშ მხოლოდ იწვის, როგორც აბედი-
ღარბი გვარის სახელი: გვეტაძე რაჟდენ“ (გვეტაძე 1924:5)

სიღარიბე, ბოჰემა, წარსულის უარყოფა, ახალი სახეები, რომლებიც მაგიურ წარმოსახვებს უძლიერებენ მკითხველს, ქართული ლექსის „ევროპული რადიუსით“ გამართვა... - ეს იყო „ცისფერყანწელთა“ მთავარი მიზანი. ასევე, ახალი სალექსო ფორმა, „ქართველი სიმბოლისტებისათვის განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა ფრანგული სიმბოლიზმის პრინციპი: ლექსის საშუალებით სულის მუსიკის, მისი საიდუმლო ჟღერადობის გადმოცემა, რაც საუკეთესოდ მიიღწევა სონეტის ფორმის მეშვეობით“ (ბარბაქაძე 2014:386) ვალერიან გაფრინდაშვილი, თავის ესეში „სონეტის პრობლემა“ წერს: „ხშირად სონეტი არის პორტრეტი რომელიმე პიროვნებისა“ (გაფრინდაშვილი 1990:482) ამ მოსაზრებების

გათვალისწინებით, ნათელია, რატომ აირჩია რაჟდენ გვეტაძემ თავისი „ავტობიოგრაფიის“ სონეტის ფორმა. „პოეტური სამყარო რეალობის ერთგვარი მოდელია, მაგრამ მათ გართულებული ურთიერთდამოკიდებულება აკავშირებთ ერთმანეთთან; პოეტური ტექსტი კი ჭეშმარიტების ძიების, გარემომცველი სამყაროს წვდომისა და მასში ორიენტირებისა და ინტერპრეტაციის მძლავრი და ღრმად დიალექტური პროცესია.“ (ბარბაქაძე 2014:396)

რაჟდენ გვეტაძის სიმბოლისტურ ძიებათა შორის გამორჩეული ლექსია „ელამი სარკე“, სადაც პოეტი მზით შემოსილი საყდრის შემდეგ, გვაცნობს მძინარე ქალს, რომელიც „სიზმრებში ტირის დაკარგულ გვარით“, პოეტი გზადაგზა გვიხსნის ქალის ტკივილის მიზეზს, მას უბედურება სწევია: „ოთახში ფრინავს ყორანი შუშის“. ყორანი, როგორც ცნობილია, უბედურების სიმბოლოა, (ყორნის სახის ტრანსფორმაციის, ლიტერატურასა თუ მითოსში მისი ადგილის შესახებ საინტერესოდ საუბრობს დათო ქარდავა ესეში „ყორანს ცრემლით უმძიმს უპე ...“ („არილი“ 2015,9 ნოემბერი, 11) თუმცა, მოცემულ კონტექსტში, ავტორს ახალი დეტალი შემოაქვს - „შუშის ყორანი“, რაც სათაურის გათვალისწინებით, მსხვერველს უნდა გულისხმობდეს, იმედებისა და რწმენის მსხვერველს, რასაც მოსდევს: „და ელანდება ტუპუბმობჭრილს / თუთუნის კვამლში ღიმილი ბუშის...“. ამ ტაქსის ასახსნელად უნდა მოვიხმოთ ვალერიან გაფრინდაშვილის ესე „TERROR ANTIQUUS“, სადაც ნათლად არის გადმოცემული ცისფერყანწელთა და უცხოელ სიმბოლისტთა დამოკიდებულება სიმახინჯის მიმართ: „სიმახინჯე ჩვენ გვესმის, როგორც სიმბოლო და როგორც ირონია, მახინჯს ჩვენ ყოველთვის გვულისხმობთ როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიკურ ნიღაბს“. (გაფრინდაშვილი 1990:523) სწორედ ამ მოსაზრებას იზიარებს რაჟდენ გვეტაძეც, ელამი სარკე რეალობას გამრუდებულად, დამახინჯებულად ასახავს, ალბათ გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1924 წელს გამოცემულ წიგნში „ვირების მესია“ ეს ლექსი „ბრუნდი სარკის“ სახელწოდებითაა შესული, ბრუნდი კუთხურ მეტყველებაში მართლაც უპირისპირდება. კუთხური თქმა „ბრუნდი და მართალი“ განურჩევლად ყველას, -მცდარსა და მართალს გულისხმობს. რაჟდენ გვეტაძის მოცემულ ლექსში სწორედ ელამი, ბრუნდი სარკის შეცვლით შეუძლია ლირიკულ გმირს შეცვალოს მახინჯი ჩვენებები „მაგრამ ამ სარკეს დღესვე გამოცვლის, რომ იქ ბრწყინავდეს კვლავ საფირები“ (გვეტაძე 2011:174) საფირი კი ლურჯი ფერის ქვაა, ის სიწმინდეს, ცის ფერს „და არ ამქვეყნიერს“; უნდა გულისხმობდეს („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს ...“) სწორედ ამიტომ ყველაფერი ისევ ისე დარჩება, სანამ ლირიკული გმირი არ შეცვლის სარკეს და არ იპოვის იქიდან გამოსვლის ძალას, ამის შემდეგ კი სრულიად რეალურ, მირაჟებისგან დაცლილ სურათს იხილავს „და დაინახა მან გამოსვლისას/მოდინ მისი სოფლის ვირები“. ვირის სახე ამ შემთხვევაში მხოლოდ კონტრასტის შესაქმნელად არის გამოყენებული, თუმცა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში ეს ცხოველი განსაკუთრებული „პატივით სარგებლობს“. ავტორი ამ ცხოველის მიმართ იმდენად ჰუმანური და კეთილგანწყობილია, რომ მკითხველს უნებურად ახსენებს ლიტერატურაში ყველაზე ცნობილ სახედარს- პლატეროს. ესპანელი მწერლის ხუან რამონ ხიმენესისა და ქართველი სიმბოლისტი ავტორის მსგავსი დამოკიდებულების საჩვენებლად პარალელების დაძებნა მარტივია: „საბრალო ვირო! რა კარგი, რა კეთილშობილი, რა გამჭრიახი ხარ! ირონიულიო რატომ? რომელი აღწერილობა შეიძლება იყოს შენი შესაფერი? შენი საკადრისი აღწერილობა ხომ გაზაფხულის ერთი საოცარი ზღაპარი იქნება! ნეტა კარგ ადამიანს “ვირი” უწოდონ! ნეტა ოჩან ვირს “ადამიანი” დაუძახონ! ირონიულიო და ეგ შენ გეხება, შენ, ასე გონიერს, მოხუცისა თუ ბავშვის მოყვარულს, ნაკადულისა თუ პეპლის მოკეთეს, მზისა თუ ძაღლის თანამზრახველს,

ყვავილისა თუ მთვარის მეგობარს; შენ გეხება, ასე თვინიერსა და ჭკვიანს, დარდიანსა და გულისხმიერს, შენ-ველ-მინდორთა მარკუს ავრელიუსს ” (ხიმენესი 2003:89)

რაჟდენგვეტაძე „ჩოჩორი“:

პარასკევსყაფანზეგაყიდესჩოჩორი,
ატირდასაბრალოთაფლისფერთვალებით.
ახალმაპატრონმაძოპარსაქოჩორი
და თოთოტერფებზედააკრანალები.
ბავშვებმაბელელსქვეშანახვესსაწოლი,
კოცნიან, ახრჩობენრძიანიბალახით.
ორშაბათსხურჯინითაჰკიდესმაწონი:
პატარაფეხებიეტკინატალახით.
ქალაქშიუცინისძველებისმკერავი,
ნაცნობებსშეხვდება, უეცრადქრებიან.
სურსდღისალერსი, ვერხედავსვერავის,
მხოლოდხარსუცქერისსაყანწერქებიანს.
სოფლისკენგაბრუნდენდალლილივირები.
ჩოჩორიცმიჰყვება ბედს გადანაბირებს.
ამბობენ: ბაზარშიარიფოსიძვირე,

ღამდება და ქარიამოსვლასაპირებს(გვეტაძე 1924:86)

ისეა განცდილი ვირის უბედურება, რომ მკითხველს თანაგრძნობის განცდა უჩნდება ამ კეთილი ცხოველის მიმართ: “ატირდა საბრალო თაფლისფერ თვალებით..“ „სურს დღის ალერსი“, „ჩოჩორიც მიყვება ბედს გადანაბირებს“. სამწუხაროდ, ეს ცხოველი განწირულია, რაზეც მიანიშნებს სიტყვები: „მხოლოდ ხარს უცქერის საყანწე რქებიანს“. ხარც ადამიანებს ეხმარება, მაგრამ მას მაინც კლავენ, მისი რქისგან კი ყანწს აკეთებენ. ვირი გრძნობს ამ უმადურობას ადამიანების მხრიდან და იცის, რომ ისიც განწირულია, თუმცა ბედს უნდა შეეგუოს.სწორედლაჩაგრულივირებისდამცველადგვევლინებაპოეტილექსში „მანიფესტი ვირებს“ :

„მოქალაქენო! ეხლასიკვდილსადარვაპირებ,
გამიჩნდასაქმესაარაკო(თქვენგეცინებათ)
ჩემიფიქრებისეგმოსჩანსმთვარისსინებად
და მანიფესტით მე მივმართავსაყვარელვირებს:

ჩემოვირებოთქვენსსინაზესყველაამცირებს,
თუმცათქვენსთვალებს მე ვიხმარდისარკისმინებად
და გადავწყვიტე,რადგანღმერთმასეინება,
თქვენიციცოცხლეავაშოროსიკვდილისგზირებს.

ვერშეხვალთმბეოსამოთხეშიდღესმარტოგარჯით
(ამაზე მახსოვსბევრიფიქრიდამიხარჯია)
საჭიროარისგადავარდნაცეცხლისყამირში.

გედლევათნება: დააარსოთცალკესამეფო
მგონიდროარის,რომ გაეკცეთმონურწამებას,
და შეგიძლიათ, მფარველმეფედ მე ამირჩიოთ. (გვეტაძე 2011:173)

საინტერესოა ფრანგის იმბოლი სტიპოეტის ფრანსის ჟამის ლექსი „ლოცვა, რომ
სამოთხეში ვივრებთ ანერთად შევიდე“.
„ფრანსის ჟამის ინატრობს ვირებთ ანერთად სამოთხეში შესვლას“ (გაფრინდა შვილი 1990:523), -
წერდა ვალერიან გაფრინდა შვილი. ფრანგი და
ქართველი პოეტების დამოკიდებულების შესადარებლად სრული სახით ვთავაზობთ ამ ლექსს,
რომელიც გვიგეგვს კორმათარგმნა:

როდესაც მიხმობ, უფალო, მენთან წამოვალუმალ,
მაგრამ თუ მაშინ წამიყვან ამ წუთისოფლის სტუმარს,
გზას რომ ამტვერებს დღეობა, გვედრებ, უფლებამომეც,
გზათვითონ ამოვირჩიო, რომელს გამოვყვე, რომელს.
მანდუნდა ვნახოს სამოთხე და ვარსკვლავები დღისით,
ავიღებჯოხს და წამოვალმენკენს სამოთხის ღირსი.
შემომხვდებიან ვირები და იმათას ვეუტყვი:
მე, ძმებო, ფრანსის ჟამი ვარ, რაგით ხრათ ამისმეტი,
სადაც მივდივარ, წამოდი თმთელი ვირების დასტა,
ღვთის ქვეყანაში მივდივარ, მე არ მივდივარს ხვასთან.
დამდგარხართ, ყურისპარტყუნით ან დათავების ქნევით
ბუზებს სიმორბეთსა წყლები... ზევით წამოდი, ზევით...
გარშემორტყმული ვირებით, ღმერთო, ამოვალმალლა,
მიყვარან, დარბაისლურად იციან თავის დახრა,
ღვებთან, ნორჩი ხეხილის ტყეგეგონებას შირი
მათი პატარა ფეხები, შეგებრალე ბავირი.
არსად არ გადაუხვევენ მენკენ მომავალ ზიდან,
ვისაც გვერდები ჩაენგრა და კალათები ზიდა.
ვისაც დაჰქონდათ უნუქი და საზიდრების ღვედით
ან ჯამბაზების ფორნებით გადაჰყვლეფთაქედი.
მოდინა ჰაკვირები, ბევრი იარეს, ბევრი.
გაკერპებული ბუზების მოუსვენარი მირეგლი
ლურჯი არებზე ისევათ, რიდი არაა ქეთარვის,
ფეხებზე უნდა დასდებიან, ვირებსაც მევენმარვალს.
მე გვედრები, უფალო, როცა ვირებთ ანერთად
ამოვალ. ანგელოზებმა რომ გვიპატრონონ მენთან,
მანდ, სადაც ნაკადულები და ფარული ამწვანით
და ალუბალიცა ხცახებს, როგორც ქალწულის ტანი.
მოვალ ვირი ვითნაჯაფი, გამიღეწმინდას ხლი,
კარგი იქნება, უფალო, ღვთაებრივ წყალზე დახრილთ
თუღავანახვებ, - უბადრუკ და მოკრძალებულ ამქარს, -
მარადილისი წმინდის და სიყვარულის კამკამს. (ჟამი 1972:240-241)

ორივე სიმბოლისტი პოეტი გრძნობს ამ ცხოველის განსაკუთრებულ სიკეთეს. მოცემული
ლექსები გვიჩვენებს, რომ ადამიანებს აქვთ სურვილი, ის რაც ამქვეყნად კეთილად,
სიყვარულისა და სიწმინდის გამოხატულებად მიაჩნიათ, მარადიულად იყოს მათთან. ვირი
მარადიული ერთგულების და სიყვარულის სიმბოლოდ შეგვიძლია გავიაზროთ მოცემულ
შემთხვევებში. ასევე, ადამიანიც ვირივით ტანჯულია, ისიც დიდი ტვირთით ცხოვრობს
ამქვეყნად, ამიტომაც ეს ცხოველი განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია: „ვირების
მხრებზე დაფრინავენ სერაფიმები“ (გვეტაძე 1924:80) „თუ დამიჯერებთ, არც მე მინდა ვიყო
ფროტოსანი, ჩემთვის ვირები ყველაფერზე უკეთესია“ (გვეტაძე 1924:86)

რაჟღენ გვეტაძეს წიგნში „ვირების მესია“ მოცემული ლექსების („ჩოჩორი“ „მანიფესტი ვირებს“) გარდა, კიდევ ათი ლექსია შეტანილი, რომელიც ვირებს ეხება: „ვირები აღდგომა ღამეს სოფელში“, „ვირის კბილი“, „ვირები პროსპექტზე გათენებისას“, „კინტო და ვირი“, „ვირები მარხილში“, „გლოვა“, „ორი განსხვავებული ლექსი ერთი და იმავე სათაურით - „ვირების მესია“ და „ბარათი ვირებს“. ამ ლექსების ლირიკული გმირი ვირების მხსნელად- მესიად გვევლინება. რაჟღენ გვეტაძის პოეზია გარდა მოცემული თემისა, საინტერესოა ბევრი თვალსაზრისით, რადგან მის შემოქმედებაში იკვეთება რომ „ქართულ სიმბოლიზმსაც მრავალი შენაკადი აქვს, აქ გვხვდება იმპრესიონისტულ, დადასტურ, ექსპრესიონისტულ და თვით ფუტურისტულ სკოლათა შენაკადები და ყველა ამ სახეობას სრულად და ტიპურად „ცისფერყანწელთა“ სკოლა აერთიანებდა“ (ჭილაია 1986:24) რაჟღენ გვეტაძის სიმბოლისტური პოეზიანიდივიდუალურობით გამოირჩევა, ის ცისფერყანწელთა ორდენის დისეული წევრია და მისი შემოქმედების გააზრება მნიშვნელოვანია სიმბოლისტური კვლევის კონტექსტში.

დამოწმებულილიტარატურა:

1. **ბარბაქაძე 2014:** ბარბაქაძე თ. „ქართული ლექსმცოდნეობა“ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თსუ 2014
2. **გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. „ლექსები პოემათარგმანების ენობრივი წერილობითი მწერლის სარქივიდან“ თბილისი: გამომცემლობა „მერანი“ 1990
3. **გვეტაძე 1924:** გვეტაძე რ. „ვირების მესია“ ტფილისი: 1924
4. **გვეტაძე 2011:** გვეტაძე რ. „ქართული პოეზია“ (ცისფერყანწელები) თბილისი: „საოჯახობიბლიოთეკა“ 2011
5. **იაშვილი 2007:** იაშვილი პ. „ცისფერყანწელები“ ასილექსი. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“ 2007
6. **ჟამი 1972:** ჟამი ფ. „ლოცვა, რომ სამოთხეში ვირებთან ერთად შევიდეთ“ (ფრანგულიდან თარგმნა გივიგეგეჭკორმა) „ხომლი“ 8 თბილისი: „საბჭოთა საქართველო“ 1972:240-241 გვ.
7. **ჭილაია 1986:** ჭილაია ს. „ოცწლეული“ (1921-1940) წლები და პრობლემები თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ 1986
8. **ხიმენესი 2003:** ხიმენესი ხ.რ. „პლატერო და მე“ (ესპანურიდან თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა) თბილისი: გამომცემლობა „საარი“ 2003

Some aspects of RajdenGvetadze's poetry.

Summary

RajdenGvetadze was Georgian author, translator and one of the co-founders and the member of literary group of Blue Horns („Tsisperqanstelebi”). His several aspects of poetry are discussed in the work, called – “Some aspects of RajdenGvetadze's poetry.” The article gives us information about the credos/beliefs of “Blue Horns” (“Tsisperqantselebi”) and about new forms of poems established by them.

The article is about RajdenGvetadze's symbolist works and the analyses of the book called “The Messiah of Asses”, which was published in 1924. The parallels are found with the opinions about “asses” expressed by Spanish author Juan Ramon Jimenez and French symbolist poet Francis Jammes. The author tries to explain the poetic symbol of “asses”. It should be pointed out, that with the above-mentioned authors “asses” is the symbol of eternal loyalty and love.

The main purpose of this article is to rethink the works by Georgian symbolist poet RajdenGvetadze. It also emphasizes the meaning of RajdenGvetadze's poetic legacy in the context of research connected with “Blue Horns” (“Tsisperqantselebi”).